პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელ-არმიელი

1-ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფ. სი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

155 (1150) | კვირა, 19 სექტემბერი 1926 წ. | (1150) 155

# ამხანაგებო, წითელ-არმიელებო—შვებულნო!

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის წერილი.

გილოცავთ თქვენს სამშობლო ადგილებში დაბრუნებას და ამასთან ერთად მე მსურს გამოვსთქვა ჩემი სურვილები. პირველ ყოვლისა ჩვენი კავშირის საერთო მდგომარეობისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც სდგანან დღეს ჩვენს წინაშე, წამოჭრილი იქნებიან ხვალ, მომავალ წელიწადს და მანამდე, სანამ არ გავთავისუფლდებით ჩვენთვის საშიშ კაპიტალისტური გარემოცვისაგან.

თქვენ იცით, რომ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ერთად ერთი ქვეყანაა, რომლის სათავეში სდგას მუშურ-გლეხური ხელისუფლებ. და ყოველი მხრივ გარს შემორტყმულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებით.

ამ ევროპიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ამ ჟამად ეროვნულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანხმოების ნიადაგზე იქმნებიან წინააღმდეგობათა მთელი რიგი, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტური ქვეყნის სიძლიერეს. მუშები და უღარიბესი გლეხური მასები მაგრად მოეკიდენ ინგლისის იმპერიალიზმის წვერებს და თანდათან არყევენ მის დროებით და ნაწილობრივ სტაბილიზაციას (წონასწორობა).

არა ნაკლებ როლს თამაშობს დასავლეთისა და ახალშენების პროლეტარული მასების რევოლუციონურ განწყობილების შექმნაში თვით საბჭოთა კავშირის არსებობა.

მუშებისა და გლეხების ხელისუფლება, რომელიც აწესებს თავის სახელმწიფოში წესრიგს, კანონებს, ეკონომიკასა და პოლიტიკას მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული მასების ინტერესებისათვის, მეტად მაცდუნებელი და სასურველი იდეა არის ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოს თითეული პროლეტარისათვის.

აი აქ იქმნება ის მიზეზები, ის გარემოება, რომელიც ქარიშხალის შავ ღრუბლებათ აღგას თავზე მუშებისა და გლეხების მასებს, და რომელიც ყოველ წუთში მზად არის ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომის ტყვიების წვიმათ წამოვიდეს ძირს.

ბურჟუაზია სცდილობს რა ერთმანეთს გამოგლიჯოს ხელიდან გავლენა, ახალშენებისა, მსოფლიო ბაზრებისა და მთელ დედამიწაზე ბატონობაში, მიისწრაფის გახდეს სხვაზე უფრო ძლიერი შეიარაღებული ძალების და ბრძოლის ტეხნიკური საშვალებებით, რომ მათთვის ხელსაყრელ მომენტში ზურგში ჩასცენ დანა ერთმანეთს.

ამას გარდა, ბურჟუაზიული ხროვის ყველა სურვილები, ყველა მისი მისწრაფებები იქეთკენ არის მიმართული, რათა რაც შეიძლება ჩქარა მოუღოს ბოლო საბჭოთა კავშირს, რომელიც საბჭოთა, ბოლშევიკური გავლენის გამავრცელებელი სენია.



ამხ. ლევანდოვსკი.

და ამ მხრივ, ჩვენ ვადევნებთ რა თვალყურს ბურჟუაზიული სახელმწიფოების ცხოვრებას, შეგვიძლია დანამდვილებით აღვნიშნოთ მასში არა თუ პოლიტიკური და ეკონომიური, არამედ სამხედრო ბლოკისა და კავშირების არსებობა საბჭოთა ს. რ. კავშირის წინააღმდეგ.

**წითელი ფრონტის ზრდას უპირდაპირდება შავი ფრონტის შექმნა.**

როგორც ერთის, ისე მეორე მხრიდან ხდება მობილიზაცია და ირაზმება საჭირო ძალები მწვავე და გადამჭრელი შეტაკებისათვის.

ჩვენ, მუშურ-გლეხურ წითელმა არმიამ უნდა შევიგნოთ ეს მუქარა მთელი მუშათა კლასის და პირველ რიგში მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ და გამოვიყვანოთ შესაფერი დასკვნები, ისინი კი მდგომარეობენ იმაში, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ ვერ ავსცდებით მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის თავდასხმას და ამიტომ საჭიროა ყველანი მზად ვიყოთ და ვემზადოთ, რომ დამუქრებისა და თავდასხმის თითეულ მომენტში შესაფერი მიუზღოთ კაპიტალისტურ მუშტს, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ქვეყნის ხელშეუხებლობა და ჩვენი მუშებისა და გლეხების მშვიდობიანური შრომის პირობები.

**მხოლოდ წითელი არმიის სათანადოთ გაწვრთნით, დისციპლინის დაცვით და საბრძოლო მომზადებით შეიძლება ხსენებული ამოცანის შესრულება.**

შესვენების მშვიდობიანურ პერიოდში რამოდენიმე წლის მუშაობა და ჯარებში სწავლებისადმი დაკვირვება სრულ უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ წითელი არმია, კერძოთ კავკასიის წითელ დროშოვანი არმია, თავის საბრძოლო ძლიერების აწევის საქმეში საგრძნობლად წავიდა წინ და მიისწრაფის პროლეტარული ნაბიჯებით წინ თავისი ცოდნის გაუმჯობესებისაკენ.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოხდა ჩვენი სკოლებიდან პროლეტარული სამხედრო და პოლიტმეთაურების გამოშვება, რომლებმაც შეავსეს თავისი საბრძოლო გამოცდილება თეორიული ცოდნით; დაბრუნდებიან რა რევოლიუციონურ მებრძოლთა რიგებში, ისინი იქნებიან შემდეგი წარმატების სრული გარანტია ჩვენი შეიარაღებული—პროლეტარული მუშურ-გლეხურ რიგების სწავლებისა და აღზრდის დარგში.

ჩვენი არმია, წლიდან—წლამდე მუშაობით თანდათან ძლიერდება და მტკიცდება. ამას ჩვენი მტრებიც ხედავენ, ხოლო რაც უფრო ძლიერი ვიქნებით, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი მყუდროება.

მარტო დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე არ არის დამოკიდებული კეთილ-მეზობლური განწყობილების დამყრება საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, არამედ მტკიცე დისციპლინის და საბრძოლო უნარიანობის მქონე მუშურ-გლეხურ წითელ არმიაზე, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალს ჩვენს უზარმაზარ საზღვრებს.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ის წითელი არმია, რომელიც იმყოფება თოფის ქვეშ უმთავრესი ძალა იყოს, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლა. არა, ეს მხოლოდ კადრია, რომელიც უშვებს თავის რიგებიდან მრავალმილიონიან მასებს და ასწავლის მათ სამხედრო ხელოვნებას. ეს კადრები წლიდან-წლამდე ამზადებენ ამ მრავალ მილიონიან მუშურ-გლეხურ არმიას, რომელიც თავისი პროლეტარული ხელისუფლების და კომპარტიის პირველი დაძახილისთანავე სწრაფად უნდა გამოვიდეს, დაუბრუნდეს მწყობრს და თავისი სახელოვან ბრძოლების ტრადიციებით გაბრწყინებულ დროშების ქვეშ გაერთიანებული, შეიჭრას იქ, სადაც კაპიტალისტური ქვეყნის ხელით დაინთება ომის ცეცხლი, ან მსოფლიოში პირველ საბჭოთა ქვეყანაზე თავდასხმის ნიშანი.

მთელი ჩვენი პროლეტარული არმია თვით საბჭოთა ხალხშია. თვით მუშების და გლეხების სიღრმეშია მოთავსებული ის შემჭიდროებული ძალა, რომელიც მზად არის, ყოველ წუთში, ყოველ მიმართულებით გასცეს პასუხი მუქარას.

ეს ჭეშმარიტება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის, ეს საფუძველი უნდა შევიგნოთ და გავაგებინოთ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ მასებს და განსაკუთრებით კი სახლში მიმავალ ამხ. წითელ არმიელებს.

ჩვენ, ვესალმებით თქვენს მშობლიურ მინდვრებში დაბრუნებას, თქვენს ოჯახების ნახვას და გვინდა გითხრათ—არ დაივიწყოთ, რომ წითელი არმიის ძირითადი ძალა თქვენშია. თქვენ მისი გამოწვრთნილი და მცოდნე მარქაფი ხართ, და როდესაც დასძახებს თქვენი მუშურ-გლეხური ძთავრობის საყვირი, თქვენ მზად უნდა იყოთ აჩვენოთ მას თქვენი ძლიერი კლასიური სიმტკიცე და საბჭოთა ქვეყნის დაცვის ძალა.

შემდეგი მომენტი, რომელზედაც მსურს შევჩერდე არმიიდან მიმავალ ამხანაგებისადმი გამოსასალმებელ სიტყვაში ეს არის ის, რომ მომავალი ომები მოითხოვენ არა მარტო უშუალოდ არმიაში მყოფთა შეიარაღებულ რიგების მთელი ძალების დაძაბვას, არამედ მთელი ქვეყანა, დაწყებული ფრონტიდან და გათავებული უკანასკნელი გლეხის სახლამდე, იძულებული იქნება მონაწილეობა მიიღოს თავის უფლებების დაცვაში, რომელიც მიიღო მან დიად პროლეტარულ წითელი ოქტომბრისაგან.

თითეული პურის ნატეხი, შალი, ფოლადი და სხვა უნდა დაიწყოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის სასწორზე, რომელ აც სურს წაგვართვას უფლება და გადასცეს მეფეებს, თავადებს, ბარონებს და მიწები მემამულეებს. ყველა შეგნებული მოქალაქის დახმარება წითელი ფრონტისადმი მუშებისა და გლეხების ფართო მასებთან ერთად, რომელთაც ეს უფრო უშუალოდ ეხებათ, საერთო აზრისა და ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს საბჭოთა ქვეყნებისადმი მუქარისა და გართულებების პერიოდში.

უნდა გავაცნოთ მშრომელთა მასები დღევანდელი დღისთვის შექმნილ მდგომარეობას, წითელ არმიასა და სამხედრო საქმეს, თუ როგორი მოხერხებით უნდა ვებრძოლოთ მტრის წინააღმდეგ. ეს ამოცანა შესრულებული იქნება, თუ თავის სახლებში მიმავალი წითელ არმიელთა მასა ს.ს.რ.კ-ის მივარდნილ კუთხეებში დაბრუნებისთანავე ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავისი ცოდნა და ამოცანები წითელი თავდაცვის შესახებ გადასცეს თავის უმცროსებს, უფროს ამხანაგებს და სოფლის ლენინის სამხედრო კუთხეებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სათანადო მუშაობით შექმნის და გააქტივებს ამ თავდაცვის დამხმარე საზოგადოებებს.

ღარიბ მასების ბელადი—კომუნისტური პარტია სრული დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენ, ამხ. წითელ არმიელებო პირნათლად შეასრულებთ ამ ამოცანებს.

რაც უნდა მაგარი არ იქნეს ფრონტი, თუ ზურგი მტკიცე არ არის, ჩვენ ვერ მივაღწევთ წარმატებებს ჩვენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეში. ამხანაგებო, თუ შეადარებთ თქვენ თავს იმ მდგომარეობას, როგორითაც მოხვედით არმიაში, დარწმუნდებით ჩვენი არმიის, როგორც სკოლის, მნიშვნელოვან და უდიდეს მუშაობაში.

წერა-კითხვის ცოდნას მოკლებულ საზოგადოებრივ განუვითარებელი მასიდან, არმიამ, სკოლამ, გააკეთა თავისი საქმე და თქვენი სახით უბრუნებს უკან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს თითქმის ყველა წერა-კითხვის მცოდნეებს და კულტურულ შვილებს. ეხლანდელ მომენტში ბევრი თქვენგანი სამხედრო სკოლის, პოლიტიკური და საბჭოთა სწავლების გავლის შემდეგ, უდიდესი ორგანიზაციული და პოლიტიკური ძალა იქნება ჩვენს ჩამორჩენილ და გაუნათლებელ სოფელში.

თქვენ უნდა იქნეთ საბჭოთა ახალი სოფლის პროლეტარული საზოგადოების ყოფაცხოვრების კადრი და მშენებლები, და აქ მთელი ძალ ღონე უნდა მოიხმაროთ პირველად ყოვლისა, რომ შემოკრებით საბჭოების ირგვლივ და ამის შემდეგ შემოკრიბოთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების ორგანოების გარშემო სოფლის უღარიბესი და საშვალო მასები.

მხოლოდ საბჭოებში თქვენი აქტიური მუშაობით შეიძლება შემსუბუქდეს ჩვენი სოფლის უღარიბესთა მდგომარეობა.

სოციალისტურ ნათელი მომავლისაკენ შემაერთებელი ლენინური ხიდები თქვენს ხელში იმყოფება. ისინი უნდა გაატაროთ რევოლიუციონური სიმტკიცით და შემჭიდროებით ლენინურ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მხოლოდ მუშისა და გლეხის დაკოჟრებული ხელი გამოსჭედს თავის პროლეტარულ—სოციალისტურ ბედნიერებას.

თქვენ ამხ. წითელ-არმიელებო, მიღებული ცოდნა ვალდებული ხართ გაავრცელოთ თქვენს სოფლებში. მხოლოდ კულტურული გზა არის ის გზა სოციალიზმისაკენ, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ჩვენი კომუნისტური პარტია.

ამ გზაზე ხელისუფლების, წარმოების საშვალებების, საწარმოო იარაღების და მიწის ხელში ჩაგდების შემდეგ—მთავარი საფეხურია კოოპერაცია.

ეს საფეხური ჩვენ უნდა დავსძლიოთ, გვახსოვს,რა,რომ 20 მილიონიან ღარიბ მეურნეობისათვის საერთო დახმარების აღმოჩენა შესაძლებელია სახელმწიფოს მხრივ კოოპერატიული დას ხვა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ გაერთიანების საშვალებით. მართლადაც, ხელისუფლებას არ შეუძლია საქმე ქონდეს თითეულ ცალკე მეურნეობასთან. მათი გაერთიანება საბჭოების ირგვლივ, კოოპერაციის ირგვლივ რაზმავს მათ და ქმნის რეალურ პირობებს მათ გასაუმჯობესებლად.

გამომშვიდობების წინ მსურს ვსთხოვო კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ამხ. წითელ არმიელებს, რათა გადასცენ თავის მამებს, დედებს, ძმებს, ცოლებს და დებს ჩვენი მეგობრული სალამი, გულითადი და წრფელი სურვილები.

კეთილი მგზავრობა შვებულს, სალამი მომავალ ცვლას და წარმატება მომავალ მუშაობაში.

გადაეცი ყველა მუშებსა და გლეხების მასებს, რომ წითელი არმია ფხიზლად არის წინანდებურად, ის ფხიზლად ადევნებს თვალს ყველა ძრისხანე ღრუბლებს, რომლებიც ხანდამოშვებით ჩნდებიან ჩვენი საბჭოთა კავშირის თავზე და საშიშროების წუთებში უხმოთ, მაგრამ თავისი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, თანდათან ძლიერად და მაგრად უჭერს თავის დაკორძებულ ხელებს ბრძოლისა და თავდაცვის იარაღს.

წითელი არმია, რომელმაც დაამტკიცა თავისი ძლევამოსილება სამოქალაქო ომის წლებში ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის დასაყრდენს, პირველი დაძახებისთანავე, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გაამართლებს იმ იმედებს რომლებიც დამყარებული იქნებიან მასზე მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ, მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა და მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის შტაბის—კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ.

**ხვალ 20 სექტემბერს სრულდება 8 წელი, რაც მშრომელი ხალხის მოღალატეებმა—ესერებმა და მენშევიკებმა იმპერიალისტური ინგლისის კარნახით მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს ამიერკავკასიის პროლეტარიატის 26 საუკეთესო ხელმძღვანელი-სტეფან შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე და სხვები.**

**წითელი ჯარი მუხლს იდრეკს და დაბლა ხრის თავის საბრძოლო დროშებს კომუნიზმის საქმისათვის წამებულ მებრძოლთა ხსოვნის წინაშე.**

**26 კომუნარების მიერ დაწყებულმა საქმემ გაიმარჯვა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოშიც.**

# ᲬᲘᲗᲔᲚ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

## ᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ამხანაგებო, კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის შვებულ—წითელ არმიელნო! თქვენ წილად გვხვდათ საპატიო მოვალეობა--ემსახუროთ წითელი არმიის სიძლიერის განმტკიცების საქმეს ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში,—აღმოსავლეთის ამ წინა კარებში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ამ საპასუხისმგებლო ნაწილში.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, იცით, რომ წითელი არმია წარმოადგენს არა მარტო წითელ არმიელთა პოლიტიკურ და პრაქტიკულ მოსამზადებელ სკოლას სამხედრო ხელოვნებისთვის, არამედ სოციალიზმის მშენებლობისათვის, ხალხის საქმის სამსახურისთვის და თქვენ, 1924 წ. გაწვეული, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში გაიარეთ ასეთი სკოლა, თამამად შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენ მიერ შეძენილი ცოდნა მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ, როგორც მუშებისა და გლეხების შვილნი, მთელ თქვენს უნარს და მთელ თქვენს გამოცდილებას მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აყვა- [illegible] თა შორის საუკუნოების განმავლობაში განუწყვეტლივ შუღლი არსებობდა,—არის საბჭოთა ხელისუფლების და მისი შეიარაღებული ძალის—კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სწორი პოლიტიკის შედეგი.

ამხანაგებო, შვებულ—წითელ არმიელნო! თქვენ იცით, რომ ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს ყავს უამრავი მტრები, რომლებიც შურით უცქერიან ჩვენს მიღწევებს ყველა დარგებში და ყოველნაირად ცდილობენ ჩვენს განადგურებას, მაგრამ არც ერთი გარეშე მტერი ჩვენთვის საშიში არაა, თუ ჩვენ მტკიცედ და ურყევად ვიდგომებით ჩვენს სადარაჯოზე და ერთგულად ვემსახურებით სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, როგორც ქალაქში, ისე სოფლად. საჭიროა მთელი ძალების მოკრება, რათა მთელი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც თქვენ მიიღეთ ორი წლის განმავლობაში წითელ არმიაში სამსახურის დროს, არ დაიკარგოს ფუჭეთ, არამედ გამოიყენოთ სავსებით ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ამხანაგებო, შვებულ—წითელ არმიელნო! მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ თქვენ, გლეხებისა და მუშების შვილნი, სახლში დაბრუნებისას იქნებით საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგული და საიმედო გამტარებლები, მტკიცედ იდგომებით ყველა ქვეყნის მშრომელთა [illegible] პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

საქართველოს ცაკის მდივანი **ს. თოდრია.**

## ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲝ, ᲐᲠ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲡ

### ᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ.

1. გასწიე პროპაგანდა ახალი გაუმჯობესებული მეურნეობისათვის. იმუშავე ისე, რომ შენი პირადი შრომა მეურნეობაში სამაგალითო იყოს სხვა გლეხებისათვის.

2. ჩაეწერე კოოპერაციაში და ურჩიე სხვებსაც გახდენ კოოპერაციის წევრად. კოოპერაციასთან დამეგობრების შემდეგ ღარიბი გლეხობა აღარ იქნება დამოკიდებული „კულაკზე“—მუქთახორაზე, რომელიც ნთქავს მათ ნაოფლარ კაპეიკებს.

3. მონაწილეობა მიიღე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტისა და ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში.

4. იბრძოლე ღარიბთა ინტერესების დასაცავად. ყური უგდე მათ შეკითხვებს: ამოირჩიე საბჭოში, გლეხკომში, გამგეობაში, ყოველთვის და ყველაფერში დაუჭირე მას მხარი, რითაც შეგიძლია.

5. იყავი ცოცხალი, სწორი—უტყუარი ცნობარი გლეხისთვის. გაეცი პასუხი ყველაფერზე, რაც კი აინტერესებს მას პარტიისა და საბჭოთა მუშაობის შესახებ.

6. არ დაივიწყო მოსახლეობის სამხედრო მომზადების შესახებ—ეს შენი მოვალეობაა საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე. მოსახლეობის სამხედრო მომზადება—შენი უპირველესი მოვალეობაა, პირველთა შორის.

7. მოაწყვე და შეაკავშირე მჭიდრო გუნდში ულარიბესი გლეხის ქალები. გზა გაუხსენი კოოპერაციასა, საბჭოებსა, საზოგადოებებსა და სკოლებისაკენ.

8. დაიკავე მეგობრული განწყობილება ადგილობრივ მასწავლებელთან, აგრონომთან, სოფლის ექიმთან და სოფლკორთან—ისინი დაგეხმარებიან შენს მძიმე და ძნელ მუშაობაში.

9. მუშაობისაგან მთელი თავისუფალი დრო მოახმარე წიგნების, ჟურნალების კითხვას და სხვა შენთვის სასარგებლო მეცადინეობასა და გართობას.

10. ივარჯიშე ფიზკულტურაში—ის შენი საუკეთესო მეგობარია. მიიზიდე მასში ყველა ახალგაზრდები.

11. სასტიკი ბრძოლა აწარმოვე სოფლის ორგანიზაციებში ყველა შენიშნულ ბოროტმოქმედებისა და ნაკლულოვანებების წინააღმდეგ. მოიწონე და მიესალმე ყველა მიღწევებს და თვითონვე ესწრაფე აქეთკენ.

12. ზედმეტი კაპეიკები, მოაგროვე სოფლისთვის ძვირფას გაზეთის გამოსაწერად. ურჩიე, დაარწმუნე, დაუმტკიცე გლეხს გაზეთისა და ჟურნალის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ სასოფლო-მეურნეობაში.

13. სახლში წასვლამდე გამოიწერე გაზ. „წითელ-არმიელი“, „ახალი სოფელი“ და „სოფლის კომუნისტი“. ესენი შენი საუკეთესო მეგობრები და მასწავლებლები იქნებიან სასოფლო მეურნეობაში და მოსახლეობის სამხედრო მომზადებისათვის მუშაობის გაუმჯობესებაში.

14. სოფელში მისვლისთანავე უამბე გლეხებს, გლეხის ქალებს და ბავშვებს, ყველა იმის შესახებ, თუ რა ნახე და გაიგონე ქალაქში, რომლებსაც სარგებლობა მოაქვს მათთვის.

15. არ დასტოვო „ავიაქიმი“, ავიაციის მოყვარულთა საზოგადოება, „რემედასი“ და „წერკუმსი“,—იზრუნე მათთვის, რადგან ჩვენს მტრებს არ სძინავთ—ისინი რკინის რგოლად შემოერტყენ გარშემო **ნ მ ალისა და ჩაქუჩის** დიად ქვეყანას.

16. ყველა საჭირო და შენთვის გაურკვეველი საკითხების შესახებ, მიმართე პარტუჯრედს. იყავი მისი ახლობელი მეგობარი—ის დაგიცავს შენ და მიგითითებს თუ რა და როგორ უნდა აკეთო.

17. ეცადე გახდე სოფლკორი, რადგან ბეჭვდითი სიტყვა (გაზეთი, ჟურნალი) საუკეთესო ბრძოლის საშვალება ყველა ბოროტების წინააღმდეგ, რომლებიც გზაზე ელობებიან ღარიბი გლეხისათვის ყველა სასარგებლოსა და ძვირფასს საქმეს.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝ ᲥᲝᲮ-ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

**რჩევა-დარიგება შვებულს.**

სოფელში კულტურული ძალები მეტად მცირეა. და ამიტომ შვებული ნივა თუ არა სოფელში, ის წამსვე უნდა ჩაუდგეს სათავეში კულტურულ მუშაობას.

სოფლის კულტურული ცხოვრების ცენტრი კი ქოხ-სამკითხველოა. თავისუფალ დროს აქ იყრიან თავს გლეხები, აქ არის გაზეთები, აქვე მუშაობენ სხვა და სხვა წრეებიც.

შვებულებს უკვე აქვთ საკმაო გამოცდილება კულტურულ მუშაობაში. არმიაში თვითეული შვებული ღებულობდა მონაწილეობას ლენინის კუთხის მუშაობაში, მუშაობდა წრეებში და სწავლობდა სხვა და სხვა სკოლებში. ეს გამოცდილება უნდა გამოიყენოს შვებულმა.

მთელი მუშაობა პირველად ყოვლისა გეგმის მიხედვით უნდა სწარმოებდეს. უგეგმო მუშაობას უნდა ვერიდოთ. შემუშავებული უნდა იქნეს ქოხ-სამკითხველოს მუშაობის დაწვრილებითი გეგმა და შემდეგ ამ გეგმის მიხედვით ვაწარმოოთ მუშაობა.

ქოხ-სამკითხველოში მუშაობისათვის მიზიდული უნდა იქნეს სოფლის მთელი კულტურული ძალები: მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები და გლეხთა მთელი აქტივი.

როდესაც ქოხ—სამკითხველოში შეიქმნება აქტივი, შემდეგ შესაძლებელი ხდება წრეების დაარსება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წრის დაარსებას. წრეში მუშაობისათვის უნდა მივიზიდოთ ადგილობრივი აგრონომი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქოხ-სამკითხველოში არ შეიძლება მარტო გასამართლების მოწყობა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავსებით ხელი ავიღოთ პატარა სალამოების, ცეკვა-თამაშის გამართვაზე. ხშირად ასეთი გასართობები საუკეთესო საშვალებაა სოფლის ახალგაზრდობის შამოსაკრებად, სერიოზული სწავლებისათვის.

იმისათვის, რომ იმუშაო ქოხ-ს[ამ]კითხველოში, საჭიროა იყო კა[რ]გად მომზადებული. ამიტომ შე[ვე]ბულს ყოველთვის უნდა ჰქონ[დე]ს საქმე გაზეთსა და წიგნებთან, ი[კით]ხ[უ]რდეს და კითხულობდეს მათ.

ა. მ.

## ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲣᲗᲮᲔ

პირველად ყოვლისა უნდა მოველაპარაკოთ ადგილობრივ პარტუჯრედს, სოფლის საბჭოს და ან თემის აღმასკომს და მათი თანხმობით დავსვათ მოქალაქეთა საერთო კრებაზე მოხსენება—მოსახლეობის სამხედრო მომზადების შესახებ. მომავალი ომების საშინელებით არ უნდა დავაფრთხოთ ხალხი, მაგრამ უნდა აუხსნათ, რომ უმაღლესად განვითარებული სამხედრო ტეხნიკა აიძულებს ფრონტიდან დაცილებულ მოსახლეობასაც კი მონაწილეობა მიიღონ ამ ომებში,—როგორც პრაქტიკული წინადადება, უნდა მოვსთხოვოდ სამხედრო კუთხისა და სამხედრო ცოდნის წრეების მოწყობა. კრებაზედვე შეიძლება მოვახდინოთ წრეში შესვლის მსურველთა ჩაწერა.

**როგორ უნდა მოვსძებნოთ შენობა კუთხისათვის**

თუ სოფელში არსებობს სახალხო სახლი ან ქოხ-სამკითხველო, უნდა მოველაპარაკოთ მათ, რომ დაგვითმონ ბინა კუთხისათვის. თუ ასეთები არ მოიპოება, მაშინ უნდა ვსცადოთ სკოლასთან ან სოფლის საბჭოსთან მოლაპარაკება, უკიდურეს შემთხვევაში კუთხის მოწყობა შეიძლება აგრეთვე, რომელიმე მოქალაქის კერძო ბინაზედაც.

**„ერთი ჭ მაში ც უძლური[ა]“**

საჭიროა არა მარტო თვით[...] ხელმძღვანელობდე სამხედრო კ[უ]თხეს, არამედ შევქმნათ მის გარ[შე]მო ამ საქმით დაინტერესებ[ულ] ამხხნაგების ჯგუფი, ე. ი. აქტივ[ი].

პირველად ყოვლისა მიზიდუ[ლი] უნდა იქნენ ამ მუშაობაში დაბ[რუ]ნებული შვებულები, ცვალებადელებ[ი] და წვევამდელები.

განსაკუთრებით უნდა ვეცადო[თ] რომ აღნიშნულ მუშაობაში მონ[ა]წილეობა მივაღებიოთ თადარ[ი]გის მეთაურებს, რადგან ისი[ნი] კარგი ინსტრუქტორები იქნებ[იან] სამხედრო კუთხისა და წრის მ[უ]შაობაში.

ამ აქტივთან უნდა ვაწარმო[ოთ] სამხედრო პროპაგანდა ა[რა] ბრძანების სახით, არამედ მის მ[უ]შაობაში დახმარებით.

შეიძლება მოველაპარაკოთ მ[უ]ლობლად მდგარ კადრის ან ტ[ე]რიტორიალურ წითელ არმიელ[თა] ნაწილს, რათა უკანასკნელმა მ[ო]გვაწოდოს ინსტრუქტორები რჩ[ე]ვა დარიგებისათვის. მაგრამ იმ[ე]დი არ უნდა ვიქონიოთ, რომ წ[ი]თელ არმიელთა ნაწილი უხე[ლმ]ძღვანელებს მთელ მუშაობას. მ[უ]შაობის უმთავრესი სიმძიმე და[ა]წვებათ თვით შვებულებს, ცვ[ა]ლებადელებს და წვევამდელებს.

## ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲣᲗᲮᲔ

არის სამი ტიპის სამხედრო კუთხე. ერთს ვერც შეხედავ, ობობის ქსელით მოცული, ყველასაგან მივიწყებული ცრემლებს მოგგვრის კაცს.

ასეთი კუთხეები სამწუხაროდ მრავლად მოიპოებიან და შვებულს დიდი შრომა დასჭირდება იმისთვის, რომ შეიტანოს მათში სიჯოცხლე.

მეორე, კარგად მოწყობილია, დასუფთავებული. პირველად ის სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ სინამდვილეში უსიცოცხლოა ასეთი კუთხე.

ის მხოლოდ საჩვენებლად არის, მშრალი და უინტერესოა, იშვიათად თუ ვინმე შევა შიგ. ცოცხალი მუშაობა კი იქ არ სწარმოებს. უკეთესია თავი დავანებოთ კუთხის ლამაზად მორთვას და მეტი ენერგია დავხარჯოთ იმისთვის, რომ ცოცხლად სწარმოებდეს კუთხის მუშაობა და წ[ა]რმოადგენდეს არა საჩვენებ[ელ] ადგილს, არამედ სკოლას, სად[აც] მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობ[ას] შეუძლია შეისწავლოს სამხედ[რო] საქმე.

კუთხისათვის უნდა მოიძებნ[ოს] შაშხანა, აირის საწინააღმდე[გო] ნიღაბი, ხელის გრანატა და ყუ[მ]ბარა ქვიშით. ამ საგნების საშვალებ[ით] შეიძლება სროლის შესწავლა, ამ[ო]ცანების შესრულება ველში მო[ქ]მედებისათვის და აირსაწინააღ[მ]დეგო ნიღაბის მოხმარა.

შაშხანით ვარჯიშობა და [...] ფანტით სროლა, უფრო ჩქა[რა] დააინტერესებს მოსახლეობას [და] მიიზიდავს წრეში, ვინემ მოხს[ენე]ბები და ლექციები. თავიდა[ნვე] უნდა იქნეს კუთხეში აუცილე[ბე]ლი სამხედრო ლიტერატურა, წ[ეს]დებები, სხვა და სხვა სახელ[მძ]ღვანელოები ცალკე სამხე[დრო] საგნებში და სხვა.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

20 სექტემბრიდან იწყება გრძელ ვადიან შვებულებაში გაშვება 1902 წელში დაბადებულ წითელ არმიელებისა. წლევანდელი გაშვება ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ წარსულთან შედარებით დიდი მიღწევები გვაქვს წითელ არმიელთა აღზრდის საქმეში; დღეს წით. არმიელი მეტი მომზადებულია სამხედრო საქმეში, პოლიტიკური ცოდნაც მეტი აქვს, ვიდრე წარსულ გაშვებების წითელ არმიელს. ამიტომ წლევანდელ შვებულს მეტი მოთხოვნილება აქვს მის მომავალ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მუშაობაში სოფლად. შვებულმა განსაკუთრებული ყურადღება მუშაობის დროს უნდა მიაქციოს შემდეგ ძირითად მომენტებს, დარგებს და მუშაობის მეთოდებს.

ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად შვებულის მუშაობა უნდა იქნას აგებული ნებაყოფლობაზე და პირად მაგალითზე, დარწმუნება და მაგალითის ჩვენება—არის ერთად ერთი საუკეთესო მეთოდი სოფლის გლეხობაში მუშაობის დროს.

მისვლისთანავე ყველაფრის გაკეთება არ უნდა დაისახო მიზნათ, თორემ შეპირდები გლეხს იმას, რის შესრულებას ვერ შესძლებ და დაკარგავ ავტორიტეტს მის თვალში.

განუწყვეტელი კავშირი უნდა გქონდეს გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქციასთან და გლეხის ცენტრალურ სახლთან, რომლებსაც შეუძლია ხელი შეგიწყონ მუშაობის დროს, მოგაწოდონ მასალები და ხელმძღვანელობა გაგიწიონ, როცა დახმარებას საჭიროებს შენი მუშაობა.

სოფლად ჩასვლისას შვებულის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს გაეცნოს მუშაობის ყველა დარგებს; დაუსვას თავის თავს კითხვა, როგორ უნდა იყოს? როგორ არის? რა უშლის ხელს მუშაობას? და რა ესაჭიროება მის გამოსწორებას და სხვა.

გლეხობისადმი მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს უფროსის უმცროსისადმი დამოკიდებულების ხასიათს, პირიქით, ასეთი ზიანს მოგვიტანს ჩვენ სოფლად მუშაობაში, სარგებლობის ნაცვლად.

შვებულმა არავითარი მუშაობა არ უნდა აწარმოოს სოფლად ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების გარეშე, საჭიროა დაახლოვება მათთან და მიზანშეწონილი ხაზის აღება მუშაობაში.

შვებულებაში მიმავალი წ. არმიელი უნდა გახდეს პრაქტიკულად გამტარებელი სოფლად მე-14 პარტყრილობის დადგენილებებისა გამტარებელი ყველა იმ დირექტივების, რომელსაც იძლევა პარტია და საბჭოთა ყრილობები სოფლად მუშაობის დარგში.

ძალიან კარგია ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად ხელი მოჰკიდონ ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას, ჩაებან შიგ და წაიყვანონ წინ, რაც საუკეთესო გაკვეთილი იქნება სხვებისთვის.

საბჭოების გამოცოცხლება, რევოლიუციონური კანონიერ ების განმტკიცება, კრედიტების გაფართოება და გაიაფება, მიწის სარგებლიანობის მოწესრიგება დაქირავებულ შრომის წესიერი გატარება და სხვა, შვებულის ყურადღებას არ უნდა გაექცეს ერთი წუთითაც.

სოფლის ფენებათ მიზანშეწონილი დაყოფა: პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის მჭიდრო კავშირის შექმნა და გამტკიცება საშვალო გლეხობასთან, როგორც „მიწათ მოქმედების ცენტრალურ ფიგურასთან“ შვებულის მოვალეობას უნდა შეადგენდეს სოფლად.

მე-14 პარტ-ყრილობის რეზოლიუციები და მთელი რიგი დადგენილებები და დირექტივები ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის დარგში უნდა იქნას გატარებული სოფლად, რისთვისაც პარტია და ხელისუფლება შვებულისაგან მოითხოვს დახმარებას: არტელების ამხანაგობების, კოოპერაციის, გლეხკომების, საბჭოების და ღარიბთა კომიტეტის მუშაობის თავის მოწოდების სიმაღლეზე დაყენება სოფლად საჭიროებს თავდადებულ მცოდნე მუშა ხელს.

ღარიბ გლეხობასთან მუშაობა მუდმივად უნდა სწარმოებდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს დაკვრითი ხასიათს.

მუშაობა საბჭოებში, სოფლის მოჯამაგირე ახალგაზრდათა შორის, კომუჯრედის, კომკავშირის, კოოპერატივის ქალთა შორის ახსნა განმარტება ფართო მასისათვის სასოფლო სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობის, მისი ახალი წესის, მიწის კანონის, გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების და საქართველოს სასოფლო მეურნეობის ამოცანები უნდა გახდეს შვებულის მუშაობის და ახსნა განმარტების საგნებათ.

პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად სოფლად ჩვენ გვაქვს უამრავი ხელის შემშლელი პირობები და მიუხედავათ მრავალ მიღწევებისა სანუგეშო მდგომარეობა ვერ არის ზოგიერთ სოფლებში, რისთვისაც შვებულს მოუხდება ქოხ-სამკითხველოს დაახლოვება და როგორც პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის ც[ენტ]რი სოფლად საჭირო იქნება ქ[ოხ]-სამკითხველოების მუშაობის მოცოცხლება.

სოფლის მასწავლებელთან, [აგ]რონომთან, ბეითალთან, ექიმთ[ან], კოოპერატორთან, ქალთა ორ[გა]ნიზაციის, პიონერების, პროფკ[ავ]შირების საბჭოს წევრებთან წარმომადგენელთან განუწყვე[ტე]ლი კავშირი უნდა ქონდეს შ[ვე]ბულს ქოხ-სამკითხველოში მუშ[აო]ბის დროს.

საბიბლიოთეკო მუშაობა, წრ[ე]ბის მუშაობა ცნობათა მაგი[დის] მოწყობა, კედლის გაზეთის მოშვება, წითელ კუთხეში სამ[ხე]დრო კუთხის ჩამოყალიბება სამხედრო პროპაგანდის წარმო[ება], წარმოდგენების, ექსკურსიე[ბის], წ. კითხვის უცოდინართა საზო[გა]დოების მუშაობა და სხვა თ[ვით]მომქმედ ორგანიზაციების მუშ[აო]ბის გაცხოველება აუცილებე[ლია]. შვებულს არ გამოეპაროს მუშ[აო]ბის დროს მხედველობიდან.

**სამხკორი ტ. მამალაძე.**

# შვებულო, გასწოვდეს წითელი არმია, განამტკიცე მუშების და გლეხების კავშირი.

## გრძელვადიან შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობა ჩვენთან.

1-ლი საარტ. ლეგიონი.

მოახლოვდა თუ არა 1902 წ. დაბადებულ წ/არმიელთა გაშვება გრძელვადიან შვებულებაში, დაიწყო ნაწილში გაცხოველებული მუშაობა შვებულთა შორის. სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გასაშვებ წითელარმიელთა შორის მუშაობას, რისთვისაც ნაწილში შექმნილ იქნა ჯერ კიდევ ბანაკად გასვლამდი საბჭოთა ალმშენებლობის წრე, საკოპერაციო წრე და სხვა. ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ ალლუმებსა და მორიგ შეკრების დროს მუშაობა 1902 წელში დაბადებულ წითელარმიელთა შორის დავიწყებას არ მიეცა.

სოფლებში წითელარმიელებს ეხდებოდათ პრაქტიკულად გაცნობოდენ სოფლის ორგანოებს. სოფლის და თემის საბჭო, გლეხკომი, კოპერატივი, კომუჯრედი, ქოხ-სამკითხველო და შრომის სკოლები დიდი ყურადღების ცენტრი გახდა წითელარმიელთათვის. ესწრებოდენ კრებებს, ეცნობოდენ მათ ნაკლს და მიღწევებს და ყველა ახალს წითელარმიელები გულმოდგინეთ სწავლობდენ, რათა მომავალ მუშაობისათვის გამოეყენებიათ.

ალლუმებიდგან დაბრუნების შემდეგ ყაზარმებში გაჩაღდა ახალი მუშაობა. სპეციალურად დაარსდა 1902 წელში დაბადებულ წითელარმიელთათვის კურსები „საბჭოთა ალმშენებლობის“ და ქოხ-სამკითხველოების; მოწვეულ იქნა საუკეთესო ლექტორები. მეცადინეობა უკვე დაიწყო ორივე კურსებმა და მესამე—ადმინისტრატიული კურსიც ეწყობა.

პოლიტიკურ დარგში უკვე შეუდექით მთელი წითელ-არმიელების პოლიტიკური ცოდნის შემოწმებას. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული შვებულს. ერთის მხრივ პოლიტშემოწმება საშვალებას მისცემს პოლიტშემადგენლობას გამოარკვიონ თავის მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები გატარებულ მუშაობაში და მეორეს მხრივ, გამოცდა იძლევა საშვალებას კარგად შევისწავლოთ შვებული და მისი მიხედვით დავიწყოთ ახალი მუშაობა მათთან. ბიბლიოთეკის მიერ შეძენილ იქნა რამოდენიმე ცალი ახალი წიგნები, რომლებიც დაურიგდებათ შვებულთ წასვლის დროს.

1902 წელში დაბადებულთა შორის მუშაობამ კარგი შთაბეჭდილება იქონია 1903 წელში დაბადებულებზე, ისინიც დაინტერესდენ ყოველგვარ მეცადინეობით და ყურადღებითაც ექცევიან განვითარების საქმეს. ასეთი მუშაობა თავდებია იმისა, რომ შვებული სათანადო ცოდნით დაუბრუნდება სოფელს და აწარმოებს ყოველგვარ მუშაობას სოფლის აღორძინების და დაწინაურების საქმეში.

ტ. მამალაძე.

## ახალი მუშაკები სოფლისათვის

მე-2 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში კარგა ხანია დაარსდა კურსები უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებისათვის კურსები, რომელთა მსმენელებათ 80-მდე წითელ-არმიელები ითვლებიან. კურსების გახსნამდე წინასწარ გაეცნეს წითელ-არმიელებს თუ რა და რა სახის კურსების გახსნას აპირებდენ და როგორი იქნებოდა მეცადინეობის პირობები.

დაარსებული იქნა შემდეგი ჯგუფები: 1) სამილიციო კურსები, 2) სასოფლო-სამეურნეო, 3) კოოპერაციის, 4) მომხმარებელი კოოპერაციის, 5) ქოხსამკითხველოსი, 6) საბჭოთა ალმშენებლობის და 7) პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის.

ყველა ჯგუფები მეცადინეობენ ერთმანეთთან დამოუკიდებლად. მოწვეულია თითეული დარგისათვის დახელოვნებული და სპეციალისტი ამხანაგები ხელმძღვანელებად.

მსმენელები განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან მეცადინეობას. პროგრამას წარმატებით გადიან. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ამხანაგების სახით საიმედო და საკმაოდ მცოდნე მუშაკები დაუბრუნდებიან სოფლებს.

შ. აზიკუროვი.



საკავშირო ასეულის შვებულები,

## ჩვენც არ ვრჩებით უკან

1-ლი ლეგ. ბატარეია.

ბატარეიაში დიდი სამზადისია შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების გამო. ამხანაგები გამოყოფილი არიან ცალკე ჯგუფებად და სწავლობენ სხვა და სხვა ხასიათის კურსებზე. განწესებაში ისინი აღარ გაგვყავს და ყოველგვარ საშვალებას ვაძლევთ, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ და გამოიყენონ სოფლად მუშაობაში.

ვაწყობთ ლენკუთხეს. მათი გაშვების დროს ის საზეიმოთ იქნება მორთული. ერთხელ კიდევ ჩავატარებთ ჩვეულებრივ მუშაობას მათთან ერთად და მივსცემთ ნაკაზს თუ რა უნდა აკეთონ სოფლად და რას მიაქციონ უმთავრესი ყურადღება.

ფრონეს პირელი.

## მტკიცედ ვიცავდით დისციპლინას

მე 3 ლეგ. საყარაულო ასეული.

ასეული საზამთრო ყაზარმებში დარჩა ლეგიონის ბანაკში ყოფნის დროს. ყველა დავალებანი, რომელიც კი მოგვცა ლეგთავმა ზედმიწევნით იქნა შესრულებული. ჩვენი ნაწილის მარტოდ ყოფნის დროს ადგილი არ ჰქონია დისციპლინის დარღვევას, პირიქით ყველანი სცდილობდენ მოქცეულიყვნენ სამაგალითოდ და მით სახელით თავი ლეგიონის უფროსის წინაშე.

ერთი კვირაა, რაც ლეგიონი დაუბრუნდა ყაზარმებს. ჩვენი საყარაულო ნაწილი ღირსეულად შეხვდა ლეგიონს. ყაზარმები წინ დაწინ იქნა მოწყობილი, დასუფთავებული და წესრიგში მოყვანილი, რისთვისაც მადლობა მივიღეთ ლეგიონის მესვეურებიდან.

ყოველთვის ვიქნებით დისციპლინის ასე მტკიცედ დამცველი.

თ. ქოქილაშვილი.

## მივდივართ!

მივდივართ, სოფელს ვეწვევით
ვახარებთ: დედებს, მამებსა,
მზრუნველ ხელს აღარ მოვაკლებთ
დღემდე დატოვილ ყანებსა...

——

ზოგი ეწვევა მაღალ მთებს
ზოგს წარიტაცებს სერები,
და მტრებს შურს გაუძლიერებს
ჩვენი ხმა ანამღერები...

——

მივდივართ, მაგრამ თუ ვინმე
გაბედავს ქვეყნის მტრობასა,
ჩვენ, ჩვენით მოვალთ, ვფიცავართ
არ უცდით გამოხმობასა...

——

მივდივართ, მაგრამ თან მიგვაქს
მებრძოლთა სალი გულები;
და გვეყვარება მარად ჟამს
მსოფლიოს დაჩაგრულები.

——

და თქვენ, ვინც რჩებით ძმანებო
სალამი ასჯერ ყველასა,
და გეუბნებით: თქვენთან ვართ
ელოდეთ ცეცხლში შველასა!!!

წითელ-არმიელი ლევან სიმონიშვილი

## კითხვა-პასუხის საღამო ჩვენთან.

ცხენ. ლეგიონი.

14 სექტემბერს ლეგიონის მთელი წითელი არმიელები და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა მიგვიწვიეს კლუბში კითხვა-პასუხის საღამოზე. საღამოს დაესწრენ ლეგიონის თავი, სამხკომი, კლუბის უფროსი და სხვები. წითელ არმიელთა უმრავლესობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კითხვების წერილობით მიცემაში. წაყენებული იქნა საჭირბოროტო კითხვების მთელი რიგი. ყველა შეკითხვებზე გარკვეულ პასუხს იძლეოდენ ლეგიონის მესვეურები.

განსაკუთრებით კარგად განუმარტეს წითელ არმიელებს, ის თუ რატომ არ გამოყავთ ჯარში აჭარისტანიდან, სვანეთიდან, ხევსურეთიდან და სხვა ასეთი ადგილებიდან ახლგაზრდობა სამხედრო სამსახურს მოსახდელად.

საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე და კმაყოფილი დაიშალენ.

პ. კახიძე.

## გრძელვადიან შვებულებაში.

მოთხრობა

I.

...და, წინადამით, ლეგიონის კლუბში გამართულ საღამოს შთაბეჭდილებებით,—რომელიც მოეწყო ყაზარმის მიერ უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა საპატივცემლო გამოსათხოვებლად—გამოეღვიძა ნიკას; სწრაფად ჩაიცვა; ჯერ კიდევ გუშინვე ლეგიონის მიერ და შეფის დარიგებული სხვა და სხვა საჩუქრები ბოგაში ჩაილაგა, და რა შეკრების საყვირი გაისმა გამოვიდა ეზოში...

დასცხო ლეგიონის მუსიკამ, აზანზარდა იქაურობა...

სახლში მიმავალ მოლაშქრეებს უკვე თავი მოეყარათ; ისმოდა სიმღერა, რომელსაც მოჰყვა ტაში და ორი წყვილი მარდი გამოთამაშებით გადმოხტა წრეში; მხიარულებას საზღვარი არა აქვს...

— აბა, ვინძლო, ამხანაგებო, არ დაივიწყოთ თქვენი დიადი ოჯახი, წითელი ყაზარმა; კავშირი არ გასწყვიტოთ იმ ლეგიონთან, სადაც თქვენ მოიხადეთ პირნათლად თქვენი ვალი, სადაც შეისწავლეთ წერა-კითხვა, სად შეიძინეთ პოლიტ და კულტ ცოდნას, სადაც აღიჭურვეთ მშრომელთა მტრების ზარმცემ სამხედრო ცოდნით...

ემშვიდობება ლეგიონის თავი... შვებული წითელარმიელები აღფრთოვანებული არიან უფროსი ამხანაგების ძმური მოქცევით და დანაბარებზე იძლევიან წითელ ფიცს, რომ აღასრულებენ პირნათლად...

— ვფიცავთ!

გრიალებს ათასეული კაცი...

— რა თქვენ დაუბრუნდებით, ძვირფასო ძმებო, თქვენს მშობელ სოფელს, ყოველივე აქ შეძენილ ცოდნას იქ მოჰფენთ და მუშათა და გლეხთა მონაპოვარს დაიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე; თქვენ ჩაუდგებით სათავეში სოფლის აყვავების საქმეს, თქვენ უნდა იყოთ ყოველ მშრომელთა საკეთილდღეო საქმეში მებაირახტრენი, თქვენ უნდა...

და, განაგრძობდა ლეგიონის სამხედრო კომისარი; ყველას ეხვევა, ხელს ართმევს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს.

— სმენა!

გაისმა და ჩამწკრივდენ...

წინ მუსიკა მიდის; აქ დარჩენილი ამხანაგები აცილებენ მიმავალებს, თავისიანებთან აბარებენ ამბებს...

შემოდგომის გრილი დღეა, ენკენისთვე იწურება.

ბევრს ეძნელება მიტოვება იმ ყაზარმის, სადაც მან დაჰყო ორი წელი, სადაც ის შეეზარდა ყველას ძმად; გული აქ რჩებათ, მაგრამ ყველას საყვარელი ნიკა უფრო დაღრუბლულია. თუმცა მას უხარია რომ მიდის სოფელში, ნახავს ყველას, დედ-მამას, ძმებს, დას, ტოლ-ამხანაგებს და იმას... იმას, რომელიც უკვე ორი წელია ელის მის დაბრუნებას და სოფლის თავქვეზე გადმომდგარს მის ლოდინში თვალები აწყდება, მაგრამ მაინც ვერ დაუთმია ყაზარმა, ამხანაგები, თოფი; და...

II

უკანასკნელად გადმოჰხედა ნიკამ ავლაბრის ყაზარმიდან მტკვრის ორივე ნაპირას გრძელ ხეობაზე დაცემულ თბილისს, ახედა ბოტანიკურ ბაღს კრწანისის სათავესთან, მიმოავლო თვალი კოჯრის მიდამოებს და მამადავითის გამომშვიდებით დაეშვა ციციაანთ აღმართზე...

წინ მიაქვთ წითელი დროშა, რომელიც თავმომწონეთ არხევს კალთებს ნელ ნიავზე; ქუჩები გუგუნებენ მუსიკის ხმაურში...

სადგურზე კიდევ ერთხელ გამომშვიდება, და ორთქლმავალმა შეჰკივლა, მატარებელი განშორდა ბაქანს; მუსიკის ხმაური ჯერ კიდევ ისმოდა მთავარ სახელოსნოების ბოლოში, რომ რონოდები აზანზარდენ წითელარმიელთა ომახიანი სიმღერით...

— ზაჰესი!

შეჰყვირა ერთმა მათგანმა, რა ამ დიდ აღმშენებლობას გაუსწორდა მატარებელი, და ყველა ფანჯრებს მიაწყდენ...

ათასეული მუშა იქნევს წერაქვს, ათასეული ამოძახილი ეუბნება შთამომავლობას ახალ სიტყვას...

მტკვარი კი დუდუნებს მარადიული სიმღერით და ყურს უგდებს არაგვს, ვით დედა შვილს, რომელიც უბეს ეკვრის და უღიტინებს მაღალ ფშავ-ხევსურეთის მთათა დანაბარებით...

მიჰქრის მატარებელი და სწრაფად იცვლებიან სურათები კინოლენტასავით: მცხეთა, ჯვარის მონასტერი, ბებრის ციხე, არაგვის ხეობა, შორს კავკასიონის მაღალი თეთრწვერა მთათა მწვერვალები, რომელთაც ნისლი პირბადეთ აუბურავთ და მზე თავზე ჯიღად ედგმით; მატარებელი აჰყვა მტკვრის სანაპიროებს; გზადაგზა სადგურებზე გადადიან შვებულნი, ემშვიდობებიან მათ, ვინც კვლავ უნდა განაგრძონ გზა და...

— ამხანაგებო, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ოდეს ყაზარმა დაჰკრავს ბუკს და მოგვიხმობს მტრებთან საბრძოლოდ მზად ყოფნას.—უძახიან ერთმანეთს მხიარულად...

მატარებელი გასცდა კასპს და გველ[illegible]თ გასრიალდა ამშურიანის თვალ[illegible]დენ ველზე, რომელსაც მარჯ[illegible] ბუნებრივ კედლებად მისდევენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ერთი წყაროს, ცემენტის და თეთრი ნახშირის მთები და მარცხნივ კიკამაზ მიდამოებს ვერცხლის [illegible]ზმენტისავით ევლება მტკვარი...

III.

ნიკა გაჰყურებს ამ შეჩვეულ არე-მარეს და გული ბუდიდან ხტება, ვიდრე მიაღწევს თავისვება, სოფელს, რომელსაც თვალს არ აშორებს მატარებლიდან შორს, რომელიც ამაყად დასცქერის დაბლა მიდამოებს მაღალ მთიდან, და თავისი სილამაზით გულს უძგერებს ყველას, რომელსაც ხალხური თქმულება ასე ასწერს და უმღერის, რაიც არა ერთხელ უთქვამს ნიკას თან წამოღებულ ფანდურზე:

— ჩემო ლამაზო სოფელო,
წინ მინდორო, უკან ტყეო;
ვაჟებისა სათამაშო,
ქალებისა სამოთხეო...

და, მეტეხის სადგურზე რამდენიმე ამხანაგთან ერთად ჩამოდის...

— ხიდი ჯერ არ დაუთავებიათ?—ჩაილაპარაკა.

— ისევ ბორნით მოგვიხდება გასვლა...—მიუგო ამხანაგმა...

მზე გადაიწვერა რკონის ხეობის იქით, აქაურმა მუდმივმა სტუმარმა ქარმა საბერველს მოუხსნა პირი; ნისლის ქარავანები აეთამაშენ ტყეს...

ორღობეში შრიალებენ მაღალ ალვისხეთა ფოთლები; ირხევიან გზის აქეთ-იქით, ჯერ კიდევ აქაიქ მოუჭრელი სიმინდები; ღობის გვერძე ჩუმად მოლიკლიკებს წაბლარუ, თითქოს დაბრუნებულ შვილებს ესალმებაო თავისი უტყვი ენით; აგერ წისქვილიდან მოისმის სარეკელას რაკუნი; ურემი საფქავით გვერდზეა მიყუდებული და ღვინია ხარები ზანტად შეექცევიან ფუჩეჩს...

ნიკას ღიმილი უთამაშებს სახეზე; -ყველაფერი თითქოს ეუცხოება, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი ნაცნობია მისთვის; მთელი გარემო უღიმის მას; ბუნების სილაღე იტაცებს; ქალაქის შეხუთულ ჰაერით სულ შეხუთულს თითქოს აღვირი აეყარა აქ, ყველაფერი გამოცვლილია მისთვის; აგერ, სოფლის ბოლოს ვენახები თავის კუნწულა წითელ-ლოყა ვაშლებით, რომელიც ჩასაკბეჩად იწვევს ყველას, აგერ ატმები, აჰა მარგალიტის მძივებივით ასხმული ყურძნის მტევნებით დახნექილი ვაზთა ხეივნები; აი მარანი გამზადებულ საწნახელით, გეჯით, ქვევრებით; იწვნება მანეულით ახალი გოდრები, სართვლოდ; მსუქანი შემოდგომა ახარებს გლეხს თავის დატენილ ცურებით; საზამთრო სარჩო ბინას იდებს ბეღელში; ზოგიერთ სახლებზე მოსჩანს ყურძნის აკიდოები, ჯაგნები, კომშის, ატმის და სხვა ხილეულის ჩირები, ლასტებზე კერკი, სარზე გაბმული თათარაში ახლად ამოვლებული ჩურჩხელები, რომელთაც წიტები მოსაწყვეტად დაჰკიდვიან; აგერ ღორ-ხბო, ნახირიც შეგრიალდა სოფელში და დატენილი ცურები იცლება სარძევეებში; აი მეზობლიანთ ნინიკა მიელალება ხარებს შოლტით, და ურმის კოფოზე არხეინად ღიღინებს ურმულს; აი სოფლის ბოლოს ატეხილი ძაღლის ყეფა, სოფლის შეჩვეული ხმაური და...

ნიკას აგონდება თავისი ბავშვობა...

(გაგრძელება იქნება)

ს. ერ—ლი.

# იმუშავე წერკუმსში.

**ბრძოლა გამოუცხადე წერა კითხვის უცოდინარობას.**

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში სახელმწიფოს დიდ დახმარებას უწევს საზოგადოება „წერკუმსი".

წერკუმსის საზოგადოების მთავარი მუშაობა მისი საკავშირო ყრილობის დადგენილების თანახმად ამა წლის იანვარში, მიმართულია სოფლისაკენ, რადგან სწორედ სოფლებში არიან წერა-კითხვის უცოდინართა უმრავლესობა. ამ მუშაობაში წერკუმსს სურს შემოიკრიბოს ყველა ღარიბესი, საშუალო და მოჯამაგირეთა მასები.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრების მოწყობის გარდა, წერკუმსი დიდ მუშაობას ატარებს თავისი საზოგადოების წევრების საშვალებით, რომლებიც მიმაგრებული არიან წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფებზე ან ცალკე პირებზე.

—„ნასწავლმა დე, ასწავლოს უცოდინარს"—აი ის საერთო ლოზუნგი, რომლის ქვეშაც მიმდინარეობს საზოგადოების მთელი მუშაობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია—ლენინის ანდერძია, რომელიც პარტიისა და საბჭოთა ხელ-სუფლების ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია. თვითეულ შვებულს შეუძლია და უნდა მოეხმაროს საზოგადოებას ამ მუშაობაში. ეს დახმარება მრავალგვარი სახის შეიძლება იქნეს. მას, რომელსაც არ ექნება საკმაო ცოდნა და ამ მხრივ ვერ გაუწევს საზოგადოებას დახმარებას, შეუძლია მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას შესაძლებლობის ფარგლებში;

მეორე კი უფრო მომზადებული, და ასეთები მრავლად მოიპოებიან შვებულთა შორის, მოამზადებს, ასწავლის უცოდინარს; მესამეს შეუძლია მოაწყოს თავის სოფელში სისტემატიურად გაზეთის ხმამაღალი კითხვა.

წერკუმსის მუშაობა მხოლოდ დაიწყო, შვებულო დაეხმარე მას, მონაწილეობა მიიღე ამ მუშაობაში; გახსოვდეს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია — ამხ. ლენინის ძირითადი ანდერძია.

# ვინ გამოუშვეს

ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებლებმა მისცეს წითელ არმიას ექვსასზე მეტი მეთაურები და პოლიტ-მომუშავენი.

კურსანტებმა, რომლებმაც გაიარეს სამ-ოთხკურსიანი ნორმალური სწავლება, სრულიად მომზადებული არიან და ყოველმხრივად განვითარებული.

ეხლანდელი გამოშვება ნომრული რიგით მეოთხეა ამიერკავკასიაში.

ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით ახალი მეთაურები ასე ნაწილდებიან:

| | |
|---|---|
| ქართველები | —22,7 პროც. |
| ოსმალები | —20,1 „ |
| სომხები | —17,5 „ |
| და სხვა | —15,3 „ |

ეს ციფრები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებლები, უზრუნველყოფენ წითელი არმიის ნაცნონალურ ნაწილების ინტერესებს, მათთვის მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მომზადებით.

სოციალური მდგომარეობით:

| | |
|---|---|
| მუშები | —28,1 პროც. |
| გლეხები | —65, „ |
| და სხვა | — 6,9 „ |

პარტიული შემადგენლობა:

| | |
|---|---|
| კომპარტიის წევრები | —31,2 პრ. |
| კანდიდატები | —14,2 „ |
| ახკომკავშირელები | —38,0 „ |
| უპარტიონი | —16,6 „ |

არმიაში სამსახური—მუდმივი წვრთნაა, ცოდნის შევსება, გამოცდილებათა დაგროვება. მაშასადამე ის ბუნებრივი გაგრძელებაა სამხედრო სკოლის.

სამხედრო ტეხნიკა სწრაფად მიაბიჯებს წინ. წითელ არმიელის კულტურული დონე და აქტიურობა გაიზარდა. ამიტომ საჭიროა, რომ თვით მეთაური—პოლიტმომუშავე შეუჩერებლად იზრდებოდეს, მუშაობდეს თავის თავზე საკუთარი ცოდნის ამაღლებისათვის.

**დ. ა**

# საერთო ტერშეკრებაზე

## იმედებს ამართლებენ.

**მე-5 ქართ. მსრ. ლეგიონი.**

საერთო შეკრების ნაყოფიერად ჩატარების მიზნით სამხედრო პოლიტ. სკოლიდან მოვლენილ იქნენ ჩვენს ლეგიონში 10 კურსანტი. დღიდან ლეგიონში მოსვლისა კურსანტები აქტიურად ჩაებენ პარტ. საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში და დიდის ხალისით ასრულებენ ყოველგვარ დავალებებს. საღამოობით პრაქტიკანტები ლენ. კარავებში ატარებენ ხმამაღლა კითხვას, რასაც ცვალებადელები აღფრთოვანებით ეგებებიან. მეცადინეობის და საღამოს ამოკითხვის შემდეგ პრაქტიკანტები ცვალებადელებთან ერთად საუბრობენ დაძინებამდე. პრაქტიკანტებს შორის სამაგალითოდ ასრულებენ დავალებას ამხ. გადახაბაძე და ცქიფურიშვილი. ამხანაგები მთელ თავისუფალ საათებს და წუთებს ცვალებადელებთან საუბარს და მუსაიფს ანდომებენ. იმედია, რომ ისინი ღრმად ჩასწვდებიან წითელ მოლაშქრეთა სულისკვეთებას, შეისწავლიან მათ სულიერ მდგომარეობას და ყოველივე ამას საფუძვლად დაუდებენ სკოლაში მიღებულს თეორიულ ცოდნას. სათანადოთ მომზადებულნი გამოვლენ სკოლიდან და ჩაებმიან წითელი ჯარის აღმშენებლობაში და მის განმტკიცების საქმეში.

**ნ. ტრამოდიელი.**

# სკოლის გარეშე მუშაობა მე-6 ლეგიონის პირველ ასეულში

თითქმის კვირა ნახევარზე მეტი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ლეგიონი გამოვიდა ბანაკად და რაც მოხდა ცვალებადელთა შეკრება. მაგრამ საერთო მეცადინეობა კი უკვე შესამჩნევად წინ მიდის. აქტიური მუშაობა სწარმოებს აგრეთვე სკოლის გარეშე მეცადინეობაში.

დღემდე ჩამოყალიბებულია ლენკუთხესთან: პოლიტ ჯგუფი, სამხედრო ჯგუფი, მკითხველთა ჯგუფი და აგრეთვე ტარდება საღამოობით სხვა და სხვა სახის საუბრები.

პოლიტ ჯგუფმა უკვე ჩაატარა სამჯერ მეცადინეობა და დანარჩენმა ჯგუფებმა თითო ჯერ.

ასეთი მეთოდი სკოლის გარეშე მუშაობისა დიდ შედეგს გვაძლევს, მით უმეტეს ნაყოფიერია ასეთი მუშაობა, როდესაც ამ საქმიანობაში ჩაბმულია უპარტიო წითელ არმიელთა 25 პროც. ჩვენი გლეხი წით.ლ არმიელები ასეთი მეცადინეობით ბევრს შეიძენენ და სოფლად დაბრუნებისას ისინი საუკეთესო მუშაკები იქნებიან. თვით მეცადინეობიდან უკვე სჩანს, რომ გლეხი წითელ არმიელები რომელთაც არაფერი არ ესმოდათ, აქტიურ მონაწილეობას იღებენ დღეს ამ ჯგუფებში.

არ ჩატარდება არც ერთი ჯგუფის მეცადინეობა ისე, რომ შეკითხვებით არ ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას.

**კლდის ძირელი.**

# პასუხი შეკითხვებზე

— საგინაშვილს. თქვენ, როგორც დაბადებული 1907 წ. არ იქნებით გაწვეული 1907 წ. დაბადებულების გაწვევის დროს, რადგან მოხალისეთ გიმსახურიათ ორი წელი.

— მასვე. მუშფაკში უნდა მიგავლინოთ რომელიმე ორგანიზაციამ.

— საგინოლლს. ნაწილს შეუძლია სატრაქტორო კურსებზე მიგავლინოს.

— ქლივაძეს. სამოსწავლო ნივთები სკოლამ უნდა მოგცეთ.

— ივლიტაშვილს. თქვენ უნდა მიმართოდ შრომის კომისარიატს.

— მეგრელიშვილს. საზოგადო ქონების მითვისება არავის შეუძლია. თქვენ მიერ აღწერილ ქონებას უნდა დაეპატრონოს ალმასკომი.

— თათანაშვილს. ტერშეკრებაზე გამოგიწვევენ.

— სერვიაშვილს. დეზერტირების განთავისუფლება შეუძლებელია. თქვენ ალბად შეცდომაში შეგიყვანათ ვინმემ. დეზერტირებმა, სასჯელის მოხდის შემდეგ, უნდა იმსახურონ.

— გრიგოლიას. ერთი წელი და ერთი თვე ნამდვილ სამ... რად არ გეთვლებათ, რადგან მოხალისემ უნდა იმსახუროს ორი ...ლი, რომ მას ჩაეთვალოს ეს ნამდვილ სამსახურათ.

— მალაზონიას. თქვენს რჩენაზე მყოფ მშობლებს საექიმო ...ხმარება ეძლევა უფასოდ. ნაწილიდან აიღეთ მოწმობა სამსახ... შესახებ და გაუგზავნეთ. მათ უნდა მიმართონ ჯანმრთელ... განყოფილებას.

— სამსონაშვილს. სახელმწიფო სასწავლებელში თქვენ ...ვლის ფულისაგან განთავისუფლდებით, მაგრამ რაც შეეხება ... სასწავლებლებს იქ კი არა.

— ბურკაძეს. უფლება აქვს, რომ დროებით დასტოვოს. ...დმეტი ჯამაგირი არ ერგებათ.

— ფინცხავას. ტანსაცმელი გერგებათ ეს ჩამორთმეული ი... თუ სხვა.

— ობოლაშვილს. შეღავათი გეკუთვნით. წარადგინეთ მო...ბები მთავარ მიმღებ კომისიაში.

— აზიკუროვს. თქვენ ძმას არ გამოიწვევენ კადრში. მხო... მან თავის დროზე უნდა წარუდგინოს მოწმობები.

— ჭელიძეს. არ გეკუთვნის.

— ოგანოვს. ორი წელი თუ გაუთავდა, ახალი მაზარა მ... ცემა შემოდგომაზე.

— ლადოს. ჯერ არ არის გამოცხადებული თუ როდის ... წყება გამოცდები.

— რეხველიშვილს. მოხალისეების მიღება წითელ ჯარში ჩერებულია.

— ჭერიას. ლევორველის ტარება უნებართვოთ არ გიძლიათ.



# ჩვენი ფოსტა

ოგანოვს. თქვენი კორესპონდენცია ლეგიონის საბანაკო ადგილზე ...სვლისა და მუშაობის შესახებ, არ გადის. ამის შესახებ თ... ...ნი ლეგიონიდან იყო. მოიწერეთ შემდეგი მუშაობის შესა...

ტაბატაძეს. თქვენი წერილი მეოთხე ლეგიონის შესახებ მეტად გ...რკვეველია. სწერეთ გარკვევით და ქაღალდის ერთ გვერდ...

შუქს და ლობილაძეს. წერილები „ახალგაზრდათა საერთაშორი... ...დღის შესახებ დაგვიანებულია. არ გადის.

შ. კაციაშვილს. კორესპონდენცია სოფ. ახალქალაქის შესახებ, დაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის" რედაქციას.

მაკარიძეს. თქვენი წერილი შვებულთა შესახებ არ გამოდგა, მე... ზოგადი ხასიათისაა და არაფერს ამბობს.

კვერნაძეს. არც თქვენი წერილი აშუქებს კონკრეტიულად შვებ... ...თა. რომელიმე მოვალეობას სოფლად მუშაობის შესახებ. ... ...თი სახით წერილი არ დაიბეჭდება.

ხაჩატუროვს. კორესპონდენცია—თქვენს ნაწილში ცვალებადელ... მოსვლის შესახებ, დაგვიანებულია. იყო ასეთი ჩვენს გაზე... სწერეთ ცვალებადელების მუშაობისა და ცხოვრების საინ... ...რესო მოვლენების შესახებ.

გ. კონცალიაშვილს. თქვენი წერილებიდან ერთი გადაეგზავნა გ... „ახალი სოფლის" რედაქციას და მეორე გაზ. „ახალგაზ... კომუნისტის" რედაქციას.

საქარელს. თქვენი კორესპონდენცია ლეგიონში კინო სურათ... გაშვების შესახებ, ინტერესს მოკლებულია. არ გადის.

სიმართლეს. წერილი უმცროს მეთაურების შესახებ გადაეგზ... ლეგიონის სამხკომს.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ლეგიონის მე-3 კომუჯრედში შემოტანილი აქვს გან...დება ათ. მეთაურს ამხ. ვასილი ბესარიონისძე რეხვიაშვილს, (რა... მაზრა უწერის თემი სოფ. ჭიორა კ. კ. წევრი 1925 წლიდან) თ...ულობს პარტიის კანდიდატად გადარიცხვას.

თუ ვინმეს, რაიმე საწინაღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობ... ერთი კვირის განმავლობაში.

---

მე 4 ქ. მ. ლ. მე-14 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ გან...დებები შემდეგ ამხანაგებს: 1) კარგიშვილი ვლადიმერს (კ. პ. კ... 2) კუპრაშვილი ალექსანდრეს (კ. პ. კანდ.), 3) ფრცქიალაძე ვარ... (ა. ლ. კ. კ. წ.), 4) მელიქაძე ალექსანდრეს (ა. ლ. კ. კ. წ.).

პირველი ორი თხოულობენ კ. პ. წევრად მიღებას, დანარ... ორი კი კ. პ. კანდიდატად მიღებას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ზემო აღნიშნულ ა...ნაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

---

მე-5 ქართ. მსრ. ლეგ. მე-4 ასეულის კ. უჯრედში, შემო...ნილი აქვს განცხადება კომკავშირიდან, კომპარტიის კანდიდ... გადარიცხვის შესახებ, ალექსანდრე ბახვასძე ბუკიას (სენაკის მა... სოფ. ხეთა).

გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო მის შესა... გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

---

ქართ. ცხენ. ლეგიონის მე-11 კომუჯრედში შემოტანილი ა... განცხადება კომპარტიაში გადარიცხვის შესახებ.

1) ბელიკოვი პავლეს, პარტიის კანდიდატად გადარიცხვის ...სახებ. 2) ბჟალავა ტერენტის, 3) გორგიძე გრიგოლს, 4) ხიმ...შვილი პარმენს, 5) დჟომიდავა აკაკის, 6) გრიგოლაშვილი გიორ... და 7) გუბელიძე შალვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ზემო დასახელე... ამხანაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

---

**დაკარგე** აქსენტიძიძიგურის სახელზე გაცემ... პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გ...ქმებულად.

**დაკარგე** კოოპერატივის (ბოეცის) საწევრო წი...კი № 1547. იაკინთე ვეფხვაძის სახე... ჩაითვალოს გაუქმებულად.

# სამხკორთა მუშაობა შეკრებებზე.

**რედკოლეგიის მუშაობა.**

თუ კედლის გაზეთი გულია სამხკორთა მუშაობის, მაშინ რედკოლეგიას თამამად შეგვიძლია უწოდოთ მისი თავი.

კედლის გაზეთი სიცოცხლეს აძლევს სამხკორთა ორგანიზაციას; კედლის გაზეთის გარეშე ყოფნა, ნიშნავს უგულოდ ყოფნას,ურომლისოდაც სამხკორთა ორგანიზაციას არსებობა არ შეუძლია. რედკოლეგია კი ხელმძღვანელობს სამხკორთა მუშაობას—მიმართავს მას.

ტერიტორიალურ შეკრებებზე, რომელიც მხოლოდ ერთ თვეს გრძელდება, რედკოლეგია იძულებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თავის ამოცანებს, რომ მცირე ხნის განმავლობაში ცვალებადელ სამხკორს მიეცეს არა მარტო აუცილებელი ცოდნის მარაგი, არამედ მოამზადოს ის შეკრების შემდეგ სოფლად მუშაობისათვის.

**აქტივობის 100 პროცენტი.**

ამისათვის რედკოლეგიებმა პირველად ყოვლისა მთელი თავის შემადგენლობით დიდი აქტიობა უნდა გამოიჩინონ მუშაობაში. შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ შეურიგდეთ რედკოლეგიის თუ გინდ ერთი წევრის უმოქმედობასაც. შეკრებებზე ისინი უნდა დახელოვნდენ კედლის გაზეთის სხვა და სხვა განყოფილებების ხელმძღვანელობაში, უნდა შეეძლოთ მისი გამოშვება და სამხკორთა წრების მუშაობის ხელმძღვანელობა.

**მუშაობა სამხკორთა აღზრდისათვის.**

შეკრების განმავლობაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ ორი მეცადინეობის ჩატარება სამხკორებთან. ეს მეცადინეობანი გააცნოს სამხკორებს შეკრებებისა და შეკრებებს შორის მუშაობის ძირითად ამოცანებს. ამიტომ რედკოლეგიების წინაშე სდგას ამოცანა აწარმოონ სამხკორებთან კიდევ სხვა სახის, არა წრიული მეცადინეობა. ეს უნდა გამოიხატებოდეს რედკოლეგიის მუშაობაში რიგის ცვალებადელ სამხკორების მიზიდვაში. კედლის გაზეთისათვის შემოსულ მასალების გარჩევა, გამოშვებულ ნომრების დაწვრილებით განხილვა, მუშაობის გეგმების გათვალისწინება, რედკოლეგიის წევრთა თათბირები ლეგიონის მასშტაბში და სხვა, ყველა ესენი უნდა იყვნენ ცვალებად სამხკორთა აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდები შეკრების დროს.

**ახალი კადრების მიზიდვა.**

ამ მუშაობასთან პარალელურად, რედკოლეგიებს ერთი წუთიდაც არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ შეკრებები იმ მხრივაც უნდა გამოვიყენოთ, რათა სამხკორთა მუშაობაში ცვალებადელ... ახალი კადრები მივიზიდოთ. ...ნიშნავს, რომ სამხკორთა შორი... მუშაობა უნდა ტარდებოდეს წ... არმიელთა ფართო მასაში, ვინემ გაზეთის თანამშრომელ სამხკორებში; საჭიროა სამხკორთა მუშაობის პოპულიარიზაცია და დაინტერესოთ მით ცვალებადელები.

ეს შეგვიძლია მოვაწყოთ ლენინის კარვებში საუბრების ჩატარების გზით, გაზეთების კითხვის, გასამართლების მოწყობით კედლის გაზეთსა და სამხკორებზე.

**კედლის გაზეთის გამოცემა.**

სამხკორთა ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს პოპულიარული, თუ კედლის გაზეთია პოპულიარული. ამიტომ საჭიროა ზრუნვა მისი რეგულიარულად გამოცემის შესახებ.

მოძრავი გაზეთების შემოღება ნაწილებში საშუალებას იძლევა, რომ გაახლებული იქნეს გაზეთი ახალი მასალებით. ე. ი. არ შესწყდეს გაზეთისადმი ინტერესი.

ამას გარდა ეს უდიდეს სარგებლობას მოუტანს თვითეულ სამხკორს, რადგან თვითეულ ახალ ნომერზე ის თანდათან ანვითარებს თავის ცოდნას.

აი ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც სდგანან შეკრებებზე ცვალებადელთა შემადგენლობის კედლის გაზეთის რედკოლეგიების წინაშე. ეს ამოცანები ეხლავე უნდა შეასრულონ მათ.

**ვ. კ.**